სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080168258131721

№ 4151

20 / დეკემბერი / 2021 წ.

უცხოური საწარმოს ფილიალის „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT200007787;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603);

წერილობითი შეტყობინებების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 8 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის 8 ნოემბრის № 07/5687 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 8531), რომლითაც სააგენტოს ეცნობა უცხოური საწარმოს ფილიალის „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) მიერ NAT200007787 ელექტრონულ ტენდერის საშუალებით დადებული 2020 წლის 22 ივლისის № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ უცხოური საწარმოს ფილიალს „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის sportcompleks25@mail.ru მეშვეობით, 2021 წლის 10 ნოემბრის №3803 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა მიუხედავად 2020 წლის 22 ივლისის № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ვადის არაერთხელ გაზრდისა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელს ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში განმარტებები არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2020 წლის 22 ივლისს, NAT200007787 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ და უცხოური საწარმოს ფილიალმა „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) გააფორმეს № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 120 კალენდარული დღის ვადაში უნდა შეესრულებინა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ უსექენდის - სალამალეიქის - მამიშლარის მისასვლელი გზისა და სოფელ საკირეს შიდა გზის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 710 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 31 დეკემბერი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით არაერთხელ შეიცვალა № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების ვადა და საბოლოო ვადად განისაზღვრა - 2021 წლის 29 ოქტომბერი.

4.3. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელმძღვანელის 2021 წლის 29 ოქტომბრის № 4222-07 მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ მიმწოდებელი სამუშაოებს ასრულებდა გეგმა-გრაფიკის დარღვევით და, მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის არაერთხელ გაზრდისა, ისე ამოიწურა ხელშეკრულების მოქმედების ვადა, რომ მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო სამუშაოების დასრულება. აღნიშნული მოხსენებითი ბარათით ასევე ირკვევა, რომ მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების ვადის გადაცილების გამო ეკისრებოდა პირგასამტეხლო.

4.4. 2020 წლის 22 ივლისის № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს 238 655,64 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების საერთო ღირებულების 34%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. მოცემულ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2020 წლის 22 ივლისის № 195 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის 8^2 პუნქტის თანახმად, თუ პრეტენდენტი/მიმწოდებელი არის უცხოური საწარმო/მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა), შავ სიასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღება ძირითადი საწარმოსა და გადაწყვეტილების მიღების დროისთვის საქართველოში რეგისტრირებული, ასევე პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის ან გაფრთხილების პერიოდში დარეგისტრირებული მისი ყველა მუდმივი დაწესებულების/ფილიალის (წარმომადგენლობის) მიმართ შავ სიაში რეგისტრაციის ან გაფრთხილების დარჩენილი პერიოდით.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების ღირებულების 34%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 და მე-8^2 პუნქტებით და დაადგინა:

1. უცხოური საწარმოს ფილიალი „შეზღუდული პასუხისმგებლობის ამხანაგობა მშენებლობის კასპიისპირეთის სამმართველო“ (ს/ნ: 435432603) 2021 წლის 21 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ძირითადი საწარმოს და გადაწყვეტილების მიღების დროისთვის საქართველოში რეგისტრირებული მისი ყველა მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა) 2021 წლის 21 დეკემბერს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

3. მიმწოდებლის შავ სიაში რეგისტრაციის პერიოდში ძირითადი საწარმოს მიერ დარეგისტრირებული ყველა მუდმივი დაწესებულება/ფილიალი (წარმომადგენლობა) დარეგისტრირდეს შავ სიაში დარჩენილი პერიოდით.

4. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე